

ღმერთო, ყოვლად სახიერო და ყოვლადმოწყალეო, რომელი შენითა მოწყალეებითა და კაცთმოყვარეებითა ყოველთა ჰფარავ, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა და ყოველთა წმიდათა დაგვიფარენ მოულოდნელისა სიკუდილისა და ყოვლისა განსაცდელისაგან, მე ცოდვილი და ჩემდამი მინდობილნი ესე კაცნი და მაკურთხე უვნებელად მიყვანებად ყოველთა საჭიროებისამებრ მათისა. ღმერთო მოწყალეო, მიხსენ მე ბოროტისა მოჩქარეობისა და უწმიდურისა მემთვრალეობისაგან, რომელნი არიან მიზეზ ყოველთა განსაცდელთა და მოულოდნელისა სიკუდილისა, თვინიერ აღსარებისა. მომმადლე მე უფალო წმიდითა სვინიდისითა მიწევნად ჟამსა სიბერისასა, ჩემისა დაუდევრობითა მომწყდართა და ვნებულთა კაცთა ტვირთისა გარეშე, რათა დიდებულ იყოს სახელი შენი წმიდა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

www.mrevli.ge